

საკანონმდებლო სიახლეები :

1. ცვლილება შევიდასაქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ საქართველოს კანონში. დაემატა მუხლი 20¹³ (პირადობის ნეიტრალური მოწმობა და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი).
2. ბიომეტრიული პასპორტი.
3. ID ბარათი.
- 4.სიახლე დოკუმენტის აპოსტილით დამოწმებასთან დაკავშირებით.
- 5.სიახლე სოციალური მომსახურების სააგენტოში.

. საქართველოს კანონი

1.საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ საქართველოს კანონს დაემატა მუხლი 20¹³

მუხლი 20¹³

1. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და ცხინვალის რეგიონის (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის) ტერიტორიებზე საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენამდე, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ცხინვალის რეგიონში (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში) ლეგიტიმურად მცხოვრებ პირებზე, მათი სურვილის შესაბამისად, გაიცემა ა ნეიტრპირადობის ნეიტრალური მოწმობა ან/დალური სამგზავრო დოკუმენტი.

2. პირადობის ნეიტრალური მოწმობის ან/და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მიღების უფლება არა აქვს პირს, რომელზედაც გაცემულია საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა ან/და საქართველოს მოქალაქის პასპორტი.

3. პირადობის ნეიტრალურ მოწმობასა და ნეიტრალურ სამგზავრო დოკუმენტს გასცემს სააგენტო, რომელიც თავის უფლებამოსილებას ახორციელებს უფლებამოსილი ტერიტორიული სამსახურების მეშვეობით.

4. პირადობის ნეიტრალური მოწმობის ან/და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის გაცემის საკითხის განხილვისას სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოების თვალსაზრისით საქმისათვის მნიშვნელოვანი და შესაბამისი დოკუმენტის გაცემისათვის დამაბრკოლებელი გარემოებების არსებობის დასადგენად სააგენტოს უფლებამოსილი ტერიტორიული სამსახურის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ურთიერთობა განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის მინისტრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ერთობლივი ბრძანებით.

5. პირადობის ნეიტრალური მოწმობის ან/და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის გაცემის საკითხზე სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოების

თვალსაზრისით დამატებითი შეზღუდვები შეიძლება დაწესდეს საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით.

6. პირადობის ნეიტრალური მოწმობისა და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის ბლანკები და მათი აღწერილობები, ასევე პირადობის ნეიტრალური მოწმობისა და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის გაფორმების, გაცემისა და გაუქმების წესი განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით.

ბიომეტრიული პასპორტი

2. ბიომეტრიული პასპორტი არის დოკუმენტი, რომელსაც ჩვეულებრივი პასპორტისაგან განსხვავებით დამატებული აქვს ელექტრონული მატარებელი; მასზე დატანილია პიროვნების პერსონალური მონაცემები, ელექტრონული ფოტოსურათი და თითის ანაბეჭდები.

ბიომეტრიული პასპორტი ყველაზე მაღალტექნოლოგიური და გაყალბებისაგან დაცული სამგზავრო დოკუმენტია;

საქართველოში ბიომეტრიული პასპორტების შემოღება საშუალებას მოგვცემს პირველ ეტაპზე ევროკავშირთან გამარტივდეს სავიზო რეჟიმი;

ბიომეტრიული პასპორტის ფლობელები უახლეს მომავალში გამარტივებულად გადაკვეთენ სხვადასხვა ქვეყნების საზღვრებს.

ბიომეტრიული პასპორტების გაცემის სისტემაზე გადასვლით, მნიშვნელოვნად გაიზრდება საქართველოს მიერ გაცემული დოკუმენტების სანდობის ხარისხი.

- ბიომეტრიული პასპორტი 10 წლის ვადით გაიცემა.

- ბიომეტრიული პასპორტის ღირებულება 100

ID ბარათი

3. პირადობის მოწმობა პირის მოქალაქეობის და ვინაობის დამადასტურებელი ძირითადი დოკუმენტია. იგი მეტია ვიდრე პირადობის მოწმობა.

ID ბარათი მაღალტექნოლოგიური და გაყალბებისაგან დაცული პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტია. ამ დოკუმენტით შესაძლებელია პიროვნების იდენტიფიკაცია დისტანციურად, ინტერნეტის საშუალებით. ასევე, ID ბარათი ელექტრონული დოკუმენტების ციფრული ხელმოწერით დადასტურების საშუალებას იძლევა და მოქმედი კანონმდებლობის თანახმად მათ იურიდიული ძალა გააჩნიათ.

ID ბარათში მოთავსებულია ორი ელექტრონული მატარებელი: კონტაქტური და უკონტაქტო, პირველზე დატანილია პირის პერსონალური მონაცემები, ხოლო მეორე განკუთვნილია სხვადასხვა სახის სერვისების მისაწოდებისთვის.

ელექტრონულ პირადობის მოწმობაზე შესაძლებელი იქნება ყველა სხვა სახის ბარათის ინტეგრირება, რომელიც გაიცემა სახელმწიფო თუ კერძო სტრუქტურების მიერ, შესაბამისად მოწმობის მფლობელებს ექნებათ საშუალება ისარგებლონ მხოლოდ ერთი, უნივერსალური ID ბარათით.

ახალი თაობის პირადობის მოწმობის – ID ბარათების გაცემის არეალი გაფართოვდა. თავდაპირველად ბარათები თბილისის ტერიტორიულ სამსახურებში, ბათუმისა და რუსთავის იუსტიციის სახლებში გაიცემოდა. ამჯერად აღნიშნულ რეგიონებს დაემატა: გურიის, სამეგრელოს, შიდა და ქვემო ქართლის, კახეთის, მთიანეთის ტერიტორიულ სამსახურები და სხვა. სექტემბრის ბოლოს კი ID ბარათების გაცემა მთელი საქართველოს მასშტაბით მოხდება.

საქართველოს იუსტიციის სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ხელმძღვანელ პირების განმარტებით, ID ბარათის შემოღება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მომსახურების მიწოდების ხარისხის გაუმჯობესებას და კერძო სექტორის სერვისების მომხმარებლების კმაყოფილების გაზრდას. ასევე გააუმჯობესებს ბიზნესის კეთების ეფექტურობას, ხელს შეუწყობს საქართველოში ინოვაციების და ახალი ტექნოლოგიების დანერგვას.

ID ბარათი მარალტექნოლოგიური, გაყალბებისგან მაქსიმალურად დაცული პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტია. ამ საბუთით შესაძლებელია პიროვნების იდენტიფიკაცია დისტანციურად, ინტერნეტის საშუალებით. გარდა ამისა, ID ბარათი ელექტრონული დოკუმენტების ციფრულად ხელმოწერის საშუალებას იძლევა და მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ასეთ დოკუმენტებს იურიდიული ძალა აქვს.

ახალი თაობის პირადობის მოწმობის – ID ბარათის მიღების დროს მოიხსნა ტერიტორიული შეზღუდვა. რეგისტრაციის ადგილის მიუხედავად მოქალაქეებს ID ბარათის მიღება იუსტიციის სახლებსა და სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ნებისმიერ ტერიტორიულ სამსახურებში შეეძლება. ამ დრომდე ადამიანებს პირადობის მოწმობის გამოსაცვლელად, ან აღსადგენად რეგისტრაციის ადგილის მიხედვით უწევდათ გამოცხადება შესაბამის სამსახურებში, ახალი სერვისით კი მოქალაქე დაზოგავს დროსა და ხარჯებს. მნიშვნელოვანია ის, რომ ახალ ელექტრონულ პირადობის მოწმობაზე არ არის დატანილი მოქალაქის მისამართი. თუ ადამიანი საცხოვრებელ მისამართს შეიცვლის იგი აღარ იქნება ვალდებული გამოცვალოს ID ბარათი. დაინტერესებულ პირს მისამართის გადამოწმება შეეძლება **იუსტიციის სახლის ვებ-გვერდზე**:

– იუსტიციის სახლები და სამოქალაქო რეესტრის სააგენტო სთავაზობს საზღვარგარეთ მყოფ საქართველოს მოქალაქეებს მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან, სახლიდან გაუსვლელად შეუძლიათ 24 საათის განმავლობაში გააკეთონ განაცხადი პასპორტისა და სხვა დოკუმენტების მიღებაზე.

4. სიახლეები---აპოსტილთან დაკავშირებით

სასამართლოებისა და სამედიცინო დაწესებულებების მიერ გაცემულ დოკუმენტებს აპოსტილით იუსტიციის სახლებსა და სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურები დაამოწმებენ

სასამართლოებისა და სამედიცინო დაწესებულებების მიერ გაცემულ დოკუმენტებს (სასამართლო გადაწყვეტილებები, ცნობა ჯანმრთელობის შესახებ და სხვა) აპოსტილით იუსტიციის სახლებსა და სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურები დაამოწმებენ.

5. სიახლე სოციალური მომსახურების სააგენტოში

2011 წლის 1 სექტემბრიდან პენსიონერების გარკვეული კატეგორია 100 ლარამდე გაზრდილ პენსიას მიიღებენ.

გაზრდილი პენსიით, ამ ეტაპზე, მხოლოდ ასაკით პენსიონერები და მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები (პირველი ჯგუფის ინვალიდები) ისარგებლებენ. ამასთან, საყოფაცხოვრებო სუბსიდიით მოსარგებლე ასაკით პენსიონერებს სახელმწიფოს მიერ დანიშნული დახმარება შეუნარჩუნდებათ.